

ქართული, როგორც მეორე ენა

1. რომელ სიტყვას დაესმის კითხვა – სადაური?

- ა) ამერიკელი. ბ) ახლობელი. გ) კლასელი. დ) მეზობელი.

2. რომელია სწორი?

- ა) დედა-ჩემი. ბ) ვარდის-ფერი. გ) ორ-ადგილიანი. დ) ცოლ-ქმარი.

3. რომელი კითხვა დაესმის ხაზგასმულ სიტყვას?

ჩვენ გავისეირნეთ ქალაქის ძველ უბანში.

- ა) რა? ბ) რამ? გ) რას? დ) რის?

4. რომელი ნაცვალსახელებით შეცვლით წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვებს?

მეცნიერს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია არ გამოუხატავს.

- ა) ის, მას. ბ) მან, ის. გ) მან, მას. დ) მას, ის.

5. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

. . . კიდევ ორი გაჩერება დარჩა.

- ა) მუზეუმამდე. ბ) მუზეუმთან. გ) მუზეუმისთვის. დ) მუზეუმში.

6. რომელი სიტყვის ფორმაა არასწორი?

- ა) მინდვრით. ბ) ფანქრით. გ) ფანჯრით. დ) ფოთოლით.

7. რომელ ზმნას დაესმის კითხვა – რას ვიზამ?

- ა) ვისწავლე. ბ) ვისწავლი. გ) ვისწავლო. დ) ვსწავლობ.

8. დაასრულეთ წინადადება:

ჩვენ პირველ სართულზე . . .

- ა) ვცხოვრობ. ბ) ვცხოვრობთ. გ) ცხოვრობთ. დ) ცხოვრობს.

9. დაასრულეთ წინადადება:

ხვალ ორ საათზე სკოლასთან . . .

- ა) გელოდებოდე. ბ) გელოდებოდი. გ) დაგელოდე. დ) დაგელოდები.

10. რომელი ზმნა გამოხატავს ახლანდელ დროს?

- ა) ეძებდა. ბ) ვამბობ. გ) მოგზაურობდა. დ) წაიყვანა.

11. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

სკოლიდან სახლამდე . . . 500 მეტრია.

- ა) ადგილი. ბ) მანძილი. გ) მონაკვეთი. დ) სიგრძე.

12. რომელია გარეგნობის აღმნიშვნელი სიტყვა?

- ა) თავაზიანი. ბ) თამამი. გ) შავგვრემანი. დ) ხალისიანი.

13. რომელი სიტყვა აღნიშნავს ადამიანის უარყოფით თვისებას?

- ა) გულახდილი. ბ) გულკეთილი. გ) გულქვა. დ) გულღია.

14. ის, ვისაც ყველაფერი აინტერესებს, არის:

- ა) გაოცებული. ბ) გახარებული. გ) კმაყოფილი. დ) ცნობისმოყვარე.

15. როგორ გესმით ფრაზა: „ცხვირს ჩამოუშვებს“?

- ა) გაიკვირვებს. ბ) გაიოცებს. გ) დაფიქრდება. დ) მოიწყენს.

16. შეარჩიეთ სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:

ურთიერთგაგებითა და დათმობით ყველა პრობლემის . . . შეიძლება.

- ა) გაკეთება. ბ) მოგვარება. გ) შესრულება. დ) შეწყვეტა.

17. რომელია სწორი შესიტყვება?

- ა) მტკიცე თვისება. ბ) მტკიცე უნარი. გ) მტკიცე ჩვევა. დ) მტკიცე ხასიათი.

18. რომელია სინონიმური წყვილი?

- ა) აქეთ – იქით. ბ) მარჯვნივ – მარცხნივ. გ) მაღლა – ზევით. დ) ჩქარა – ნელა.

19. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი?

ოჯახს სტურს, რომ სახლი ქალაქგარეთ აიშენოს.

- ა) მოსწონს. ბ) სჭირდება. გ) უნდა. დ) შეუძლია.

20. რომელია ანტონიმური წყვილი?

- ა) აჩქარებული – შენელებული. ბ) თავაზიანი – ზრდილობიანი.
გ) სამაგალითო – სანიმუშო. დ) სანატრელი – საოცნებო.

21. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) მამა გაანებივრა თავისი შვილები. ბ) მამა დიდ დროს უთმობდა ოჯახს.
გ) მამამ ეს ისტორია შემოქმედებაში ასახა. დ) მამამ შვილი საჩუქრით წაახალისა.

22. რომელი სასვენი ნიშანი აკლია მოცემულ წინადადებას?

მე დილით შვიდ საათზე ვდგები ვსაუზმობ და გაკვეთილებს ვიმეორებ.

- ა) დეფისი. ბ) მძიმე. გ) წერტილი. დ) წერტილ-მძიმე.

23. რომელი სიტყვაა გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში?

. . . სტადიონის წინ შეიკრიბნენ.

- ა) მოსწავლეები. ბ) მოსწავლეების. გ) მოსწავლეებმა. დ) მოსწავლეებს.

24. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) ვინ გამართა შეჯიბრება? ბ) ვინ დააფინანსებს შეჯიბრება?
გ) ვინ დაიწყო შეჯიბრება? დ) ვინ მოაწვობს შეჯიბრებას?

25. რომელი სიტყვაა გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში?

ბავშვმა . . . ადგილი დაუთმო.

- ა) უფროსი. ბ) უფროსის. გ) უფროსმა. დ) უფროსს.

26. რომელი სიტყვაა გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში?

. . . წინ ხელები კარგად უნდა დაიბანო!

- ა) ჭამა. ბ) ჭამას. გ) ჭამით. დ) ჭამის.

27. რომელი შესიტყვებაა არასწორი?

- ა) ტკბილი წვენი. ბ) ტკბილი წვენით. გ) ტკბილ წვენის. დ) ტკბილ წვენს.

28. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) ბავშვებმა უცხოელ მეგობრებს ბარათები გაუგზავნეს.
- ბ) მათა და ზურა პირველი კლასიდან ერთად სწავლობს.
- გ) სკოლის სტუმრები თეატრის მსახიობები არიან.
- დ) ორმა მოსწავლემ საინტერესო აზრი გამოთქვა.

29. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

სკოლიდან შორს ვცხოვრობ, . . . სახლამდე ავტობუსით ვმგზავრობ.

- ა) ამიტომ.
- ბ) რადგან.
- გ) რათა.
- დ) როდესაც.

30. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

. . . უნდა დაბადების დღეზე წამოსვლა?

- ა) ვის?
- ბ) რამ?
- გ) რამდენი?
- დ) როგორმა?

31. სად მიმდინარეობს საუბარი?

- რა ღირს ხის ტახტი?
- 700 ლარი, ახალი მიღებული გვაქვს.
- ეს კარადა რა ღირს? ესეც ხისაა?
- დიახ, მაგრამ უკვე გაყიდულია.
- რა სამწუხაროა! კიდევ როდის გექნებათ?
- ერთ კვირაში მივიღებთ ახალ კოლექციას, გამოიარეთ!

- ა) ავეჯის მაღაზიაში.
- ბ) სურსათის მაღაზიაში.
- გ) საჩუქრების მაღაზიაში.
- დ) ტანსაცმლის მაღაზიაში.

32. რომელი წინადადებაა გამოტოვებული ტექსტში?

არდადეგებზე სოფელში წავალ. მკითხავთ, რატომ მიმიხარია სოფლისკენ. იმიტომ, რომ იქ ჩემი მეგობრები არიან. ----- მიყვარს ამ მდინარეში ანკესით თევზაობა.

- ა) სოფელში ბევრი ჩემი თანატოლი ცხოვრობს.
- ბ) სოფელში მთელ დღეს მეგობრებთან ვატარებ.
- გ) სოფლის ახლოს პატარა მდინარე ჩამოედინება.
- დ) ჩემი სოფელი ტყესთან ახლოსაა გაშენებული.

33. რომელ კითხვაზე იძლევა პასუხს მოცემული ტექსტი?

ცნობილი საბავშვო მწერალი ასტრიდ ლინდგრენი დაიბადა 1907 წლის 14 ნოემბერს შვედეთში. იგი სოფელში იზრდებოდა და ძალიან უყვარდა ბუნება, გლეხების საინტერესო ამბების მოსმენა. ავტობიოგრაფიულ ნაშრომში ასტრიდი დიდი სიყვარულით იხსენებს იქ გატარებულ ბედნიერ წლებს.

- ა) რას საქმიანობდნენ მწერალ ასტრიდ ლინდგრენის მშობლები?
- ბ) რა უყვარდა ასტრიდ ლინდგრენს ბავშვობაში განსაკუთრებით?
- გ) როდის დაიბეჭდა ასტრიდ ლინდგრენის ავტობიოგრაფიული ნაშრომი?
- დ) რომელ ნაწარმოებებში გამოხატა ასტრიდმა ბუნების დიდი სიყვარული?

34. რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?

ამერიკელი ნილ არმსტრონგი კოსმოსური ხომალდის, „აპოლო 11“-ის, ეკიპაჟის მეთაური იყო. რაკეტა კოსმოსში 1969 წლის 16 ივლისს გაფრინდა და რამდენიმე დღეში მთვარეზე დაჯდა. არმსტრონგი იყო პირველი კოსმონავტი, რომელმაც დადგა ფეხი მთვარეზე. იქ მან 2 საათზე მეტი გაატარა და გაიარა 250 მეტრი. „აპოლო 11“ დედამიწაზე დაბრუნდა 24 ივლისს. არმსტრონგმა შესასწავლად წამოიღო ქვის რამდენიმე ნატეხი.

- ა) ამერიკელი კოსმონავტი ნილ არმსტრონგი მთვარეზე მარტო გაფრინდა.
- ბ) ამერიკული ხომალდი „აპოლო 11“ კოსმოსში 2 საათს იმყოფებოდა.
- გ) არმსტრონგი მთვარეზე რამდენიმე დღის განმავლობაში დააბიჯებდა.
- დ) პირველად მთვარეზე ფეხი ამერიკელმა კოსმონავტმა დადგა.

35. მოსწავლემ განრიგის მონაცემების მიხედვით შეადგინა ტექსტი. შეადარეთ ისინი ერთმანეთს და გაარკვეეთ, განრიგის რომელი ინფორმაცია არ გამოიყენა მან ტექსტში.

გ ა ნ რ ი გ ი

კასპი – თბილისი

გასვლა: 9 საათი, სკოლის ეზო.

ჩასვლა: 11 საათი.

დათვალიერება: ხელოვნების მუზეუმი, მთაწმინდის პარკი, პანთეონი.

გამოსვლა: 7 საათი.

- ა) ინფორმაცია თბილისში ჩასვლის დროის შესახებ.
- ბ) ინფორმაცია მთაწმინდაზე ასვლის შესახებ.
- გ) ინფორმაცია მუზეუმის დათვალიერების შესახებ.
- დ) ინფორმაცია სკოლიდან გასვლის დროის შესახებ.

ტ ე ქ ს ტ ი

სკოლის ეზოში შევიკრიბეთ. კასპიდან დილის 9 საათზე გავედით. პირველად ხელოვნების მუზეუმს ვესტუმრეთ, შემდეგ ავედით მთაწმინდის პარკში და დავათვალიერეთ პანთეონი. თბილისიდან შვიდ საათზე გამოვედით.

36. რა სახისაა მოცემული ტექსტი?

ჩემო მაიკო,

გილოცავ ახალ წელს! დაესწარი მრავალს შენს საყვარელ მშობლებთან ერთად. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. ამ წელს ყველა სურვილი და ოცნება აგსრულებოდეს.

შენი ანა

- ა) ანკეტა.
- ბ) დღიური.
- გ) მისალოცი ბარათი.
- დ) მოსაწვევი ბარათი.

37. რომელი წინადადება შეესაბამება მოცემული განცხადების შინაარსს?

შენობაში უცხო პირთა შესვლა აკრძალულია!

- ა) შენობაში შესვლა თანამშრომლებსაც ეკრძალებათ.
- ბ) შენობაში შესვლა მხოლოდ თანამშრომლებს შეუძლიათ.
- გ) შენობაში შესვლა მხოლოდ უცხო პირებს შეუძლიათ.
- დ) შენობაში შესვლა ნებისმიერ ადამიანს ეკრძალება.

38. რომელ წინადადებაშია გადმოცემული ვარაუდი?

- ა) ალბათ ხვალიდან ამინდი გაუარესდება.
- ბ) გუშინ დასავლეთის ძლიერი ქარი ქროდა.
- გ) კარგი იქნებოდა, უფრო თბილად რომ ჩაგეცვა.
- დ) ხვალ აუცილებლად თოვლი წამოვა.

39. რომელ წინადადებაშია აღწერილი ადამიანის გარეგნობა?

- ა) დათო ყველასთან ახერხებს საერთოს გამონახვას.
- ბ) დათო უცხოურ ენებს ადვილად სწავლობს.
- გ) ის დაბალი, გამხდარი და შავთმიანი ბიჭი დათოა.
- დ) სპორტის დათოს სახეობებიდან ფეხბურთი მოსწონს.

40. დაასრულეთ წინადადება:

მასწავლებელი კლასში შევიდა, მაგრამ . . .

- ა) მოსწავლეები მას ხმამაღლა მიესალმნენ.
- ბ) მოსწავლეები სპორტული დარბაზიდან დაბრუნდნენ.
- გ) მოსწავლეები ხმაურს მაინც განაგრძობდნენ.
- დ) მოსწავლეებს მოეწონათ ახალი გაკვეთილი.

სწორი პასუხები:

- | | | | | |
|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| 1. -----ა) | 2. -----დ) | 3. -----დ) | 4. -----დ) | 5. -----ა) |
| 6. -----დ) | 7. -----ბ) | 8. -----ბ) | 9. -----დ) | 10. -----ბ) |
| 11. -----ბ) | 12. -----გ) | 13. -----გ) | 14. -----დ) | 15. -----დ) |
| 16. -----ბ) | 17. -----დ) | 18. -----გ) | 19. -----გ) | 20. -----ა) |
| 21. -----ა) | 22. -----ბ) | 23. -----ა) | 24. -----ბ) | 25. -----დ) |
| 26. -----დ) | 27. -----გ) | 28. -----ბ) | 29. -----ა) | 30. -----ა) |
| 31. -----ა) | 32. -----გ) | 33. -----ბ) | 34. -----დ) | 35. -----ა) |
| 36. -----გ) | 37. -----ბ) | 38. -----ა) | 39. -----გ) | 40. -----გ) |